განმარტებითი ბარათი

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია პარლამენტის მიერ საპროკურორო საბჭოს წევრთა არჩევის წესი, მაგრამ განსაზღვრული არ არის პარლამენტის მიერ თავის წევრთაგან საპროკურორო საბჭოს წევრთა არჩევის წესი ისეთ შემთხვევაში, როდესაც პარლამენტში ჩამოყალიბებული არ არის საპარლამენტო უმრავლესობა. ასევე განსაზღვრული არ არის, რა ვადებში უნდა აირჩეს საპროკურორო საბჭოს ახალი წევრი მოქმედი წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვისას ან ვადამდე შეწყვეტისას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია ზემოაღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით, თუ პარლამენტში ჩამოყალიბებული არ არის საპარლამენტო უმრავლესობა, პარლამენტის მიერ თავის წევრთაგან საპროკურორო საბჭოს 1 წევრის ასარჩევად პარლამენტის ფრაქციებსა და პარლამენტის იმ წევრებს, რომლებიც არც ერთ ფრაქციაში არ არიან, უფლება აქვთ შექმნან დროებითი გაერთიანება, რომლის წევრთა რაოდენობაც პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარს უნდა აღემატებოდეს. ასეთ შემთხვევაში პარლამენტის იმ წევრებს, რომლებიც ამ დროებით გაერთიანებაში არ შედიან, უფლება ექნებათ აირჩიონ საპროკურორო საბჭოს მეორე წევრი.

კანონპროექტით განსაზღვრულია აგრეთვე საპროკურორო საბჭოს ახალი წევრის არჩევის ვადები მოქმედი წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვისას ან ვადამდე შეწყვეტისას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ იწვევს რაიმე ხარჯის გაწევის საჭიროებას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ცვლილებას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს რაიმე ფინანსურ შედეგს იმ პირთათვის, რომლებზედაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი.